

დამოწმებანი:

ალბუი 2012: Albouy, P. Avant-propos (1969). *Mythes et Mythologies dans la littérature Française*. France: Armand Colin, 2012.

ბერტი 2005: Burt, E. S. *Baudelaire and intoxicants*. In: *The Cambridge Companion To Baudelaire*. Ed. Rosemary Lloyd. UK: Cambridge University Press, 2005 (p.117-129)

ბოდლერი 1992: ბოდლერი, შ. „ბოროტების ყვავილები“. თარგ. დავით აკრიანი. თბილისი: გამომცემლობა „იანუსი“, 1992.

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი, ვ. *ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები მწერლის არქივიდან*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

ვიერა 2017: Vieyra N. “*Tout n’est que syphilis*”: *Venereal Terror and the Representation of Woman in fin de siècle Belgium*. In: *Mental Illnesses in Symbolism*. Cambridge Scholars Publishing, 2017. Pp.44-62

კონერი 1989: Conner, P., Politics, S. *Prostitution and the Pox in Revolutionary Paris. 1789-1799*. Oxford University Press. <https://www.jstor.org/stable/3787545>

კოსი 2007: Koos R. L. *Damaged Literary Goods: Telling the Tale of Syphilis in Nineteenth-Century France*. 2007. <https://www.jstor.org/stable/40838407>

მარშალი 2011: Marchal, B. *Symbolisme*. Armand Colin: 2011.

რანდალი 1999: Randall, B. L. *Representations of Syphilis in Sixteenth-Century French Literature*. The University of Arizona Press. 1999/

Tamar Sharabidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Death in Relation to Collective Punishment (On the Example of Georgian Literature)

Summary

The Covid pandemic that is raging in the world has made humanity think not only about the means of survival, but also about the existential issue in general: On the problem of death and the meaning of human existence. Forms of “Untimely death” in real life and in literature are also

associated with collective punishment, which is mainly manifested during war, pandemic-epidemic and natural disasters. Based on literary examples, it becomes clear that it is the understanding of the collective punishment that can give a person a focused reflection on the phenomenon of death, because at this time the individual and collective perceptions of danger intersect.

Key words: Pandemic, Death, collective punishment

თამარ შარაბიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიკვდილი კოლექტიურ სასჯელთან მიმართებაში (ქართული ლიტერატურის მაგალითზე)

პანდემიამ, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია, რაც მსოფლიოში მძვინვარებს, კაცობრიობა დააფიქრა არა მხოლოდ გადარჩენის საშუალებებზე, არამედ ზოგადად ეგზისტენციალურ საკითხზე: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე და ადამიანის არსებობის საზრისზე. იმდენად გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომ კაცობრიობა შიშმა და პანიკამ მოიცვა. ადამიანის გონებამ, რომელსაც უჭირს სიკვდილის შესაძლებლობის დაჯერება და გარდაცვალების გაცნობიერება, გააკეთა დაშვება, რომ პანდემიას შეიძლება ვერ გადაურჩეს, განურჩევლად ასაკისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ეკონომიკური შეძლებისა და საზოგადოებრივი სტატუსისა; რომ ადამიანი ტრადიციულად დამკვიდრებული რიგითობის საპირისპიროდ ამ ქვეყნიდან „უდროოდ წასვლის“ საფრთხის წინაშე დგას; ის მიუახლოვდა სიკვდილს, რომელსაც მანამდე შორეულ პერსპექტივაში მოიაზრებდა; მიუახლოვდა და კიდევ ერთხელ გაიაზრა მისი რაობა. გააზრება მოხდა პერსონალურად, ზოგისთვის – რელიგიათან მიმართებაში, ზოგისთვის – ფილოსოფიურ სწავლებებზე დაყრდნობით, ზოგისთვის კი – ლიტერატურის დახმარებით.

ამ ქვეყნიდან „უდროოდ წასვლის“ ფორმები როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე ლიტერატურაშიც, უკავშირდება კოლექტიურ სასჯელს, რომელიც ძირითადად ვლინდება ომის, პანდემია-ეპიდემიისა და სტიქიური უბედურებების დროს. ლიტერატურულ მაგალითებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ სწორედ სასჯელის კოლექტიურობის გაცნობიერებას შეუძლია ადამიანის ფოკუსირებული რეფლექსია სიკვდილის ფენომენზე, რადგან ამ დროს ერთმანეთთან იკვეთება საფრთხის ინდივიდუალური და კოლექტიური აღქმა. ეს უკანასკნელი კი იწვევს სიკვდილის შიშის შემსუბუქებას. ამის საუკეთესო მაგალითია ვაჟა-ფშაველას „კაი-ყმა“. ლექსში ომის დროს გმირის მიერ საერთოდ უგულებელყოფილია სიკვდილი, რომელიც სწორედ ბრძოლაში „დაგელაობს“ და „სუდარაებსა“ ჰკერავს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვხიბლავს „კაი ყმის“ ინდივიდუალური, გამორჩეული გამბედაობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის გამოწვეულია კოლექტიური სასჯელის ფორმითაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დავლათი“ – განსაკუთრებული მადლი, რომელიც მამაკაცს უშიშრობასა და განსაკუთრებულობას ანიჭებს, სწორედ „ცდის“ ანუ ბრძოლის დროს ეძლევა მას. „დავლათი“ არ არის თანდაყოლილი და არც სამუდამო, განსხვავებით „ნაწილიანობისა“, ღვთის ნიშანისა, რომელიც ასევე გამოარჩევს ადამიანს სხვათაგან თავისი უნარებით და რაც დაბადებიდანვე თან დაჰყვება მას. ზოგადადაც ცნობილია, რომ ომი ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია ადამიანის თავდადების, რადგან ამ დროს ხდება სიკვდილის შიშის უგულებელყოფა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, და ამის მიზეზი სწორედ კოლექტიური აღსასრულის გაცნობიერებაა, როცა გამონაკლისი დაუშვებელია:

„ყველა მგზავრთათვის ინთქმება,

როცა იღუპვის ნავია“.

(ვაჟა-ფშაველა, ტ. 3, 1964: 219),

– იტყვის შემდგომ ზვიადაურის სიკვდილთან მიმართებაში ვაჟა-ფშაველა.

რაც შეეხება ეპიდემიას, როგორც კოლექტიური აღსასრულის ფორმას, ის აღწერილია ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ქართულ

ნაწარმოებში – „შუმანიკის წამება“: ბუნებაში გავრცელებულია სენი, რომელიც მუსრს ავლებს მოსახლეობას, აავადებს: აყვითლებს, ასიებს, სხეულს უწყლულებს და უმუწყუებს და მოხუცებულობამდე ვერავინ აღწევს. მართალია, ნაწარმოებში წარმოდგენილ ბუნების სურათს გვალვიანი ზაფხულის პერიოდში წმინდანის – შუმანიკ დედოფლის – ტანჯვის გამლიერების ფუნქცია აქვს, მაგრამ ამავე დროს ეპიდემიური სიმპტომატიკით ავტორი ნათლად გვიჩვენებს მასობრივი სასჯელის ფორმასაც – მოხუცებულობამდე ვერავინ აღწევს, რადგან ნადრევად, რიგითობის გაუთვალისწინებლად იღუპება. კონკრეტულ ნაწარმოებში სიკვდილის შიშის შემსუბუქება ხდება არა საერთო ბედის გაზიარების გამო, არამედ ავტორის – იაკობ ხუცესის – მწყობრად, ზუსტად ჩამოყალიბებული და გააზრებული რელიგიური მსოფლხედვით: „ვინ სთესა – მოიმკო, ვინ განაზნია გლახაკთათვის – შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“ (იაკობ ხუცესი 1981: 24). ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის ფაქტი, რომ აგიოგრაფ ავტორს გაცნობიერებული აქვს ეპიდემიის არსი და ზუსტად აყალიბებს დაავადების კონკრეტულ ნიშნებს, ხოლო სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას გაიაზრებს ადამიანის ამქვეყნიური ღვაწლის მიხედვით; თუმცა არ გამოვრიცხავთ იმის გააზრებასაც, რომ კოლექტიური აღსასრულის ჩვენებით ავტორი უგულვებლყოფს სიკვდილის ტრაგიკულობას.

არა მხოლოდ აღსასრულის, არამედ უკვე კოლექტიური სასჯელის ფორმა აქვს სიკვდილს დავით გურამიშვილის „დავითიანში“; მწერალი ამ მოვლენის ზუსტ თარიღსაც მიუთითებს. მისი აზრით, ეს იმ ცოდვის _მეფისადმი ღალატისა და ორპირობის – ბრალია, რომლის გამოც ქართველები ისჯებიან. ცოდვა კოლექტიურია და სასჯელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს. მწერალი მასზე ემოციური განცდის გარეშე საუბრობს, არგუმენტირებულად განსჯის იმ დიდ ტრაგედიას, რომელიც ვლინდება ქვეყანაში ომებისა და მასობრივი ეპიდემიის სახით. როცა ადამიანი ღვთის ნიშანს ვერ იგებს, კიდევ უფრო საშინელი სასჯელი ევლინება მას – ერთდროულად ავადდება საქონელი და ადამიანი:

„... შეჰყარა უცხო, უწყალო სენები;
ხოცა კაცნი და პირუტყვენი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები.
კვლავ შეაყენა მახვილთა, სისხლით აღივსო ხეენები“.
(გურამიშვილი 1992: 37)

სასჯელის ვრცელ აღწერაში წარმოჩნდება ლოგიკური მიზეზ-შედეგობრიობა და ნაკლებად ჩანს გარდაცვალების ტრაგიზმი, რადგან ადამიანებმა მიიღეს ის, რაც მათ დაიმსახურეს. ზოგადად ნაწარმოებში სიკვდილის შიში იკარგება გარდაუვალობის გაცნობიერებითაც, მისი პერსონიფიცირებით ცელიანი კაცის სახით, რომელიც სიცოცხლეს მასიურად თიბავს და აქედან გამომდინარე, საწუთროს დაწუნებით:

„ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!“
(გურამიშვილი 1992 : 110)

რადგან საწუთრო ასეთი ვერაგია, „ცრუ, მატყუარა და ფლიდი“, მასთან გამოთხოვება აღარ უნდა იყოს ტრაგიკული.

კოლექტიური სასჯელის კიდევ ერთი, თუმცა პანდემიისგან განსხვავებული ფორმა, რომელიც სტიქიური უბედურების მსგავსად შეიძლება მოევლინოს კაცობრიობას, აღწერილია მე-19 საუკუნის დრამატურგის, ზურაბ ანტონოვის, პიესაში „მზის დაბნელება საქართველოში“. სხვადასხვა წოდებისა და წარმომავლობის გაუნათლებელი ხალხი ერთად მოელის სტიქიურ უბედურებას, რომელიც, მათი წარმოდგენით, მზის დაბნელებას მოჰყვება – კაცობრიობა მთლიანად დაიღუპება. ამით სარგებლობენ პიესის ახალგაზრდა, განათლებული პერსონაჟები, რომელთაც არ სჯერათ ხალხის ჭორების და აწყობენ მშობლების დათანხმებისა და შეუღლების გეგმას. კომედიაში ჩანს, როგორ იკარგება შიში საერთო განსაცდელის წინაშე, ხალხი ცდილობს თავი გაიმხიარულოს სიკვდილის წინ. სხვადასხვა ერის შვილები განსხვავებულად ეგებებიან სიკვდილს – რუსი სასმელზე დარდობს და მას იმარაგებს, სომეხი ქონებას მისტირის, ქართველი „ვეხისტყაოსნის“ სიტყვებით იმხნევებს თავს. ეროვნებით სომეხი მწერლის, ზურაბ

ანტონოვის, შემოქმედებაში ძალიან კარგად ჩანს ეროვნებათა იდენტობის საკითხი მე-19 საუკუნის საქართველოში.

როგორც ეპიდემიის, ასევე სტიქიური უბედურების, მიმართ ხალხის დამოკიდებულებაა აღწერილი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“. ეპიდემიის შიში რომანში წარმოჩენილია სხვადასხვა პერსონაჟის სუბიექტური განცდების ფონზე: ხალხი პანიკაშია, ომში უშიშარი გირშელი მცხეთიდან გარბის შავი ჭირის გამო, არსაკიძე არ ერიდება ავადმყოფებს, მაგრამ ერიდება მეფეს, რადგან ავადმყოფთან არის ნამყოფი; მეფე ლაჩრობად მიიჩნევს დაავადებულთან მიკარების შიშს, რადგან ეს იგივე სიკვდილის შიშია, რომელიც მამაკაცს არ შეშვენის; ხალხის კოლექტიური დამოკიდებულება იხატება მიწისძვრით გამოწვეული შიშის მიმართაც, რის გამოც ისინი თავს ანებებენ სამუშაოს და სურვილი აქვთ სიცოცხლის უკანასკნელი წუთები უქმად და დროსტარებაში გაატარონ. პიროვნება – დიდოსტატი – შრომის მაგალითს აძლევს მათ. შრომის დროს გარდაცვალება პატივად აღიქმება მის მიერ და სურს, რომ ხალხმაც იგივე გააცნობიეროს.

ისტორიულ სინამდვილეში არსებულ ეპიდემიებს გაკვრით მოიხსენიებს აკაკი წერეთელი პოემაში „თორნიკე ერისთავში“, როდესაც გაბრიელ სალოსის პიროვნებას აღწერს. წმინდა ბერის ერთ-ერთი ღირსება იმაშიც გამოიხატება, რომ ის არ ერიდება სახადიან ავადმყოფებს:

„როცა სახადი გადამდები რამ
სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელად და საპატრონოდ
წმინდა მოხუცი იქ გაჩნდებოდა“.

(წერეთელი 2014: 111-112)

გაბრიელ სალოსის ქცევის მოტივაცია ქრისტიანული რწენაა.

მე-19 საუკუნეში გავრცელებული ხოლერის დაავადებით გამოწვეულ პანიკაზე აგებს ვაჟა-ფშაველა მოთხრობას „ხოლერამ მიშველა“. ზემოთ განხილული მხატვრული ნაწარმოებების მსგავსად ამ მოთხრობაშიც სიკვდილის კოლექტიური მზაობაა გა-

მოხატული დაავადების შესაგებებლად – ხალხს დაუტოვებია თავისი სოფელი და ტყეში გახიზნულა, ჩანს შიშის გრძნობის შემსუბუქებაც სასჯელის კოლექტიურობის გამო. სოფლიდან გამოქცეულები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, მღერიან, ცეკვავენ და დროს ატარებენ. ვაჟა იმითაც ანეიტრალებს პანდემიის შიშს, რომ სწორედ ამ დაავადებით გამოწვეული პანიკა გამოჰყავს შეყვარებულთა ხელის შემწყობად. მთავარი პერსონაჟი ბერუა ტყიკაციშვილი მოთხრობის ბოლოს ამ სიტყვებით მიმართავს მკითხველს: „ხოლერა რომ არ მოსულიყო, ხომ ჩვენ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გაგზედავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ კი გაგვაბედინა...“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 213). როგორც ვხედავთ, კოლექტიურ სასჯელს ის ძალაც აქვს, რომ ადამიანს არა მხოლოდ უადვილებს სიკვდილის შიშს, არამედ გაბედულებასაც ჰმატებს.

ამავე თემას – ხოლერის ეპიდემიას – ეხება ვაჟას პუბლიცისტური წერილი „ფიქრები“ (ხოლერის გამო). მწერლის აზრით, „შაჰ-აბაზის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გამოჩენამ“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 145). ამ ფაქტის მიზეზად ვაჟა სიცოცხლის „მეტისმეტად“ სიყვარულს ასახელებს. ის ირონიულად მსჯელობს იმ საზოგადოებაზე, რომელმაც ანზანი მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ გაზეთში ხოლერაზე რაიმე მოიწეროს და „თუ ხოლერა არა, თქვენი მტერი, თავის დღეში კალამს არ აიღებდა ხელში“ (იქვე). ვაჟა პირდაპირ მიუთითებს, რომ ხოლერა „ჭირია სხეულისა, სიცოცხლის მტერი“, ამიტომ ადამიანები ეძებენ ისეთ ღონისძიებებს, რომ ეს მავნე სენი თავიდან აიცილონ. ვაჟა პირდაპირი და ირიბი გზითაც მიუთითებს მკითხველს, რომ, გარდა წამლობისა, ხოლერას შველის სისუფთავე, ზომიერების დაცვა და არა ტყეში გაქცევა და ტურასავით მალვა. მწერალი იმასაც გარკვევით მიანიშნებს, რომ საზოგადოებაში გაცილებით მავნე სენიც არსებობს, ვიდრე ეპიდემიაა: „ჩვენს ცხოვრებაში სხვა ხოლერაცა ბუდობს, უფრო სასტიკი, უფრო მავნებელი, ნეტავი ერთ დღეს მაინც ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორც ეს ბაცილა – ბაქტერიების დედა აყაყანებს ქვეყანას...“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 146). ამ მეორე ხოლერას არც წამალი შველის, არც სისუფთავე და არც დეზინფექცია. მისი მსხვერპლი ყველაა, მთელ

ერს ავლებს მუსრს, „კაცს ცოცხალ-მკვდრადა ჰხდის“. ამ მეორე, ნამდვილი ხოლერის ადგილი იქაა, სადაც „უსამართლობა მძვინვარებს, საცა უაზრობა და უგრძნობელობაა“. მწერალს უკვირს, თუ რად უნდა ადამიანს ისეთი სიცოცხლე, რომ გრძნობდეს თავის სიკვდილს, მკვდარი ვარო, ამბობდეს. ვაჟა-ფშაველა საზოგადოებას მოუწოდებს, რომ თავი დაანებოს პირველ ხოლერას, რომელიც მიიპარება და სადაცაა გაქრება და ამ მეორეს, „ჩუმ-ჩუმად მძრომელს“ მიაქციოს ყურადღება, „რომელიც სისხლს არ აჩენს, მაგრამ მკვდრებს კი ამრავლებს“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 147).

ზემოთ მოყვანილ წერილში ვაჟამ ხოლერის გამო ატეხილი მითქმა-მოთქმის მიზეზად სიცოცხლის „მეტისმეტად“ სიყვარული დაასახელა. ამით მწერალმა მიგვანიშნა, რომ სიცოცხლე ყველას უყვარს, მაგრამ სირცხვილია საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად უღირსი საქციელის ჩადენა. ვაჟამ სიკვდილზე წინ ადამიანური ღირებულებები და მათი შენარჩუნებისათვის ბრძოლა დააყენა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშია უგულვებელყოფილი სიკვდილის ტრაგიზმი და ის მშვენიერების კატეგორიაშია აყვანილი.

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა“.
(ვაჟა-ფშაველა 1964: 88)

სიკვდილი მშვენიერია, რადგან სიცოცხლეს – ყველაზე უძვირფასეს განძს ამ ქვეყნად – მის გამო ედება ფასი (სიკვდილის ფასი კი სიცოცხლის წყენა ყოფილა). სიცოცხლე და სიყვარული ერთმანეთისგან განუყოფელია – „ერთურთი სწყურან ერთავე, / ერთურთთან დაილევინ“ (იქვე). ამიტომაც სიკვდილი იგივეა, რაც სიყვარულის „დალევა“, გაქრობა, ხოლო „იმისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 138).

დამოწმებანი:

გურამიშვილი 1992: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1992.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. I. ლექსები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. V. მოთხრობები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. IX. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

იაკობ ხუცესი 1981: იაკობ ხუცესი. „შუშანიკის წამება“. წიგნში: *ქართული პროზა.* ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981.

წერეთელი 2014: წერეთელი აკ. *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად.* ტ. IV, პოემები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2014.